



საქმე №3011-22
წელი

30 ნოემბერი, 2022

**ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ სააპელაციო კომისიის
გადაწყვეტილება**

კომისიის შემადგენლობა - რევაზ ბერიძე, ირაკლი კუჭავა, ბერდია ახალბედაშვილი, ანა გვასალია

საჩივრის ავტორი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი ტაო (შემდგომში „კლუბი“), კლუბის მოთამაშეები - სოსო კილაძე, ლევან ბუცხრიკიძე, გიორგი არევაძე და გიორგი ჯღარკავა (შემდგომში „მოთამაშეები“)

მოწინააღმდეგე მხარე - ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში - „სრკ“) სადისციპლინო კომისია (შემდგომში - „სადისციპლინო კომისია“)

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები:

1. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გაბათილდა 2022 წლის 30 ოქტომბერს გამართული თამაშის [მარნეულის არმაზი - სამცხე ჯავახეთის ტაო] შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში და კლუბს სატურნირო ცხრილში ჩაეწერა ნოლი ქულა (შემდგომში „გადაწყვეტილება #1“);
2. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კლუბის მოთამაშე სოსო კილაძეს არამართებული ქვევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 8 (რვა) კვირის ვადით (შემდგომში „გადაწყვეტილება #2“);
3. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კლუბის მოთამაშე ლევან ბუცხრიკიძეს არამართებული ქვევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 5 (ხუთი) კვირის ვადით (შემდგომში „გადაწყვეტილება #3“);

4. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კლუბის მოთამაშე გიორგი არევაძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 4 (ოთხი) კვირის ვადით (შემდგომში „გადაწყვეტილება #4“);
5. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც კლუბის მოთამაშე გიორგი ჯღარკავა არამართებული ქცევის [ფიზიკური შეურაცხყოფა] გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 6 (ექვსი) კვირის ვადით (შემდგომში „გადაწყვეტილება #5“);

აღწერილობითი ნაწილი

1. 2022 წლის 11 ნოემბერს, საქართველოს რაგბის კავშირის სააპელაციო კომისიის ელ. ფოსტაზე appeals@rugby.ge შემოვიდა კლუბის საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #1, გადაწყვეტილება #2, გადაწყვეტილება #3, გადაწყვეტილება #4 და გადაწყვეტილება #5-ის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებების მიღება;
2. 2022 წლის 30 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის V ტურის მატჩი (შემდგომში „მატჩი“ ან/და „თამაში“) მარნეულის „არმაზსა“ და სამცხე-ჯავახეთის „ტაოს“ შორის (შემდგომში ცალ-ცალკე „კლუბი“ და ერთად „კლუბები“);
3. თამაშის მიმდინარეობისას მე-14 წუთზე კლუბების მოთამაშეებს შორის დაიწყო ფიზიკური/სიტყვიერი დაპირისპირება, რომელიც გადაიზარდა გუნდურ დაპირისპირებაში, რომელშიც ჩაერთვნენ მინდორზე მყოფი მოთამაშეები, ასევე სათადარიგო მოთამაშეები და სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები. თამაშის მონაწილე და დამსწრე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო, მატჩის მთავარმა მსაჯმა [საბა მახარაძე], კიდის მსაჯებთან ერთად, ასევე კლუბების წარმომადგენლების თანხმობით, მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა თამაში;
4. თამაშის შემდგომ, მსაჯების მიერ მომზადდა მატჩის საითინგები, სადაც მსაჯებმა აღწერეს და დააფიქსირეს დარღვევები:
 - 4.1. კიდის მსაჯი [ბექა აქუბარდია], მის მიერ მომზადებულ თამაშის საითინგში [ოქმი], აღნიშნავს, რომ [ციტირება] „თამაშის 14 წუთზე კლუბ „ტაოს“ 5 ნომრისგან იყო მათალი ბოჭვა (უბრალოდ ჯარიმა) რის გამოც დაიწყო გაწევ გამოწევა გუნდებს შორის. „ტაოს“ N3 გაგა ჯღარკავამ მოწინააღმდეგეს დაარტყა მუშტი სახის არეში, რასაც მოჰყვა არმაზის N7 ლაშა გოგიაშვილისგან საპასუხო დარტყმა. ეს ყველაფერი გადაიზარდა ხელჩართულ ჩხუბში ორივე გუნდის მხრიდან. ასევე ჩაერთვნენ ჩხუბში შეცვლაზე მჯდომი მოთამაშეები და მაყურებლები. სიტუაციის განმუხტვის შემდგომ როდესაც განვიხილავდით მომხდარს მსაჯები უკვე დამშვიდებულ გარემოში ტაოს მორაგბემ N3 გაგა ჯღარკავამ შეიგინა მოწინააღმდეგის მიმართ რაღაც ისევ ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. მოედნის გარემოდან

გამომდინარე მთავარმა მსაჯმა (საბა მახარაძემ) და ჩვენ დამხმარე მსაჯებმა (თორნიკე ალავიძემ) და (ბექა აქუბარდიამ) ერთობლივ გადაწყვეტიტეთ თამაშის შეწყვეტა“;

- 4.2. მატჩის მთავარი მსაჯის [საბა მახარაძე] საითინგის შესაბამისად [ცეტირება] „თამაშის 14 წუთზე დაწყებულ გუნდურ ხელჩართულ ჩხუბში ჩაერთნენ ტრიბუნებიდან გულშემატკივრები და შეცვლაზე მყოფი მოთამაშეები, რამაც უფრო გაამწვავა სიტუაცია. არ იყო დაცული უსაფრთხოების ზომები. ადგილზე არ იმყოფებოდნენ მოედნის დაცვის თანამშრომლები, მოედნის გარშემო ღობე არის ნახევრად გახსნილი. არ იყო უსაფრთხო გარემო არც მოთამაშეებისთვის, არც მსაჯებისთვის. ამის გამო მსაჯებმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შეგვეწყვიტა თამაში“;
5. კლუბი „ტაო“, საჩივრის 1-ლი და მე-2 პუნქტებით სადაოდ ხდის მსაჯების საითინგში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს და განმარტავს მომხდარი ფაქტის დეტალებს. მიიჩნევს, რომ საითინგში მითითებული ფაქტები წინააღმდეგობაში მოდის ამავე საქმეში არსებულ ვიდეო მტკიცებულებასთან. აღნიშნავს, რომ კადრში [ვიდეო მასალაში] არ ჩანს მატჩზე მომხდარი კონფლიქტის ეპიზოდები სრულად, განსაკუთრებით კონფლიქტის დაწყების ეპიზოდი. ჩხუბი, მათ შორის პირველი და მეორე ეპიზოდი ინიცირებული/პროვოცირებული იყო კლუბ „არმაზის“ მოთამაშეების მხრიდან;
6. საჩივრის მე-3 პუნქტით, საჩივრის ავტორი უთითებს ფაქტობრივ შეუსაბამობაზე და ოქმით განმარტავს, რომ „ორივე ინციდენტის შემდეგ, სიტუაციიდან გამომდინარე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თამაშის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ხოლო საქმეში არსებული ვიდეომასალის შესაბამისად, 15:50 საათზე, ფიქსირდება მსაჯის გადაწყვეტილება თამაშის შეწყვეტაზე“. საჩივრის ავტორი ამ მითითებით აპელირებს, რომ რეალურად მსაჯმა გადაწყვეტილება იქამდე მიიღო ვიდრე ინციდენტი მოხდებოდა;
7. საჩივრით კლუბი „ტაო“ სადაოდ ხდის იმ ფაქტს, რომ მსაჯების მხრიდან არ იქნა სწორად იდენტიფიცირებული მატჩზე მომხდარი კონფლიქტი, მისი გამომწვევი მიზეზები და არასათანადოდ მოხდა კლუბ „არმაზის“ მოთამაშეების ქმედებებზე რეაგირება, რითიც მეტად დაზიანდა კლუბი „ტაო“ და მისი მოთამაშეები;
8. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ გამოყენებული საქმეები არ არის დარღვევის პროპორციული, რის გამოც კლუბი „ტაო“ ზარალდება მეტად, ვიდრე მოწინააღმდეგე კლუბი „არმაზი“ რაც უსამართლოდ მიაჩნია კლუბს;
9. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გაბათილდა 2022 წლის 30 ოქტომბერს გამართული თამაშის [მარნეულის არმაზი - სამცხე ჯავახეთის ტაო] შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში და კლუბებს სატურნირო ცხრილში ჩაეწერა ნოლი ქულა. გადაწყვეტილებას თამაშის შეწყვეტის შესახებ დაეთანხმნენ კლუბების წარმომადგენლები. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო თამაშის ვიდეომასალა, მატჩის ოქმი და მატჩის მსაჯის წითელი ბარათის ოქმი;

10. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე სოსო კილაძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 8 (რვა) კვირის ვადით. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სოსო კილაძემ, რომელიც იყო სათადარიგო მოთამაშე, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გაშველების მიზნით;
11. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე ლევან ბუცხრიკიძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 5 (ხუთი) კვირის ვადით. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ლევან ბუცხრიკიძემ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გაშველების მიზნით;
12. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე გიორგი არევაძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 4 (ოთხი) კვირის ვადით. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, გიორგი არევაძემ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გაშველების მიზნით;
13. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე გიორგი ჯღარკავა არამართებული ქცევის გამო დისკვალიფიცირებულ იქნა 6 (ექვსი) კვირის ვადით. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, გიორგი ჯღარკავამ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო თანაგუნდელის დაცვის მიზნით;

სამოტივაციო ნაწილი

1. საჩივრის დეტალური შესწავლისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო კომისია უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ 2022 წლის 30 ოქტომბერს გამართული მატჩის შეწყვეტა გამოწვეული იყო კონფლიქტის მონაწილე ორივე კლუბის მოთამაშეთა, წარმომადგენლებისა და გულშემატკივრების ქმედების შედეგად, ასევე დამსწრე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის მიზეზით. ხაზგასასმელია, რომ ორივე კლუბის მოთამაშეები ადასტურებენ მატჩზე მათი მხრიდან დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ფაქტს. სრკ-ის სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3 ადგენს სანქციების ჩამონათვალს, ჩამლილი/შეწყვეტილი მატჩებისთვის. რეგულაციის 1.3. პუნქტის შესაბამისად, „თუ სადისციპლინო კომისია დაადგენს, რომ ერთ-ერთი ან ორივე გუნდის წარმომადგენლების ან გულშემატკივრების მიერ რეგულაციის ან სეროიზული ქცევის კოდექსის დაღვევა ან არამართებულო ქცევა გახდა საფუძველი მატჩის ჩამლის/შეწყვეტის და მსაჯის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება იყო მართებული არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისია, მატჩში მონაწილე გუნდების შესაბამისი

პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ადგენს სანქციებს, რომლებიც შესაბამება ერთერთ ან ორივე გუნდს. სანქციები მოიცავს, შემდეგ: (გ) გამოაცხადოს მატჩის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში საბოლოოდ ან ორივე გუნდის ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში გამოაცხადოს მატჩი არშემდგარად და გააბათილოს ანგარიში“.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ორივე გუნდის მოთამაშეები, წარმომადგენლები და გულშემატკივრები მონაწილეობდნენ მატჩზე მომხდარ კონფლიქტში, კლუბების მიმართ გამოყენებული სანქცია სრულ შესაბამისობაშია სადისციპლინო რეგულაციებთან, არის დარღვევის ადეკვატური და პროპორციული. კომისიას მიაჩნია, რომ მოთხოვნა თამაშის გადათამაშების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. მომხდარ ფაქტზე გადათამაშების დაკმაყოფილებით რეაგირება, გააღვივებს კლუბებში დაუსჯელობის სინდრომს, წაახალისებს სხვა კლუბებს/მოთამაშეებს და შექმნის გაუმართლებელ პრეცედენტს რაგბის კულტურაში, რომელიც ეწინააღმდეგება სადისციპლინო რეგულაციებს.

სააპელაციო კომისია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსი და ფორმა ერთპიროვნულად საჩივრის ავტორის გადასაწყვეტია. ცალსახაა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება [ვიდეო მასალა] არ არის იმ ხარისხის და იმ ფორმით წარმოდგენილი, რომ მოხდეს იმ ფაქტების იდენტიფიცირება, რაზეც აპელირებს საჩივრის ავტორი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს რომ ვიდეომასალაში ცალსახად ჩანს კლუბ „ტაოს“ მოთამაშეების და წარმომადგენლების მონაწილეობა კონფლიქტში, რაც ასევე დადასტურებულია მსაჯების საითინგით. საჩივრის ავტორი უფლებამოსილია წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომელიც კომისიას მისცემს საშუალებას დაეყრდნოს მას, როგორც უტყუარ მტკიცებულებებს, ყოველგვარი ვარაუდების ან/და ჰიპოთეტური დაშვებების გარეშე. მეტიც, საჩივარში კლუბი თვითონ განმარტავს, რომ კადრში [ვიდეო მასალაში] არ ჩანს მატჩზე მომხდარი კონფლიქტის ორივე ეპიზოდი სრულად და კამერამ ვერ დააფიქსირა ჩხუბის დაწყების ფაქტი. კომისია, ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებით და იმ პირების დაკითხვის საფუძველზე, რომლებიც ვერ იქნებიან მიუკერძოებლები, რადგან წარმომადგენენ კლუბ „ტაოს“ მოთამაშეებს.

საჩივრის ავტორის განმარტება, რომ მსაჯმა იმაზე აღრე მიიღო გადაწყვეტილება მატჩის შეწყვეტის შესახებ, ვიდრე ეს ოქმშია მითითებული არ ახდენს რაიმე გავლენას მიღებული გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგზე, რადგან შემდგომ ოქმში მოსაზრება დააფიქსირეს ერთობლივად ყველა მსაჯმა და ასევე, კლუბების წარმომადგენლებმაც გამონატეს ცალსახა თანხმობა შეწყვეტაზე შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო. შესაბამისად, კომისიითვის გაუგებარია, რა არსებითი მნიშვნელობა აქვს როდის მიიღო თამაშის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მსაჯმა, თუ ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ სხვა მსაჯები და თვით საჩივრის ავტორიც.

2. უპირატესად უნდა განიმარტოს, რომ საჩივრის ავტორმა უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს და საჩივარს. მტკიცების ტვირთი წარმოადგენს საჩივრის განხილვაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან გარემოებას. განსახილველ შემთხვევაში,

საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია რაიმე დამატებითი მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა მსაჯების მიერ შედგენილ საითინგს და წითელი ბარათის ოქმს, მითუმეტეს რომ კლუბ „ტაოს“ სანქცირებულმა მოთამაშეებმა სადისციპლინო გადაცდომის ფაქტი არ უარყვეს და სადავოდ არ გაუხდიათ. საქმეში არსებული მტკიცებულება [ვიდეო მასალა] არ იძლევა ყველა მოთამაშის, წარმომადგენლის და მაყურებლის ქმედებების/ვიზუალის/მათ შორის სიტყვიერი შეურაცხყოფის ავტორების მკაფიოდ იდენტიფიცირების საშუალებას. შესაბამისად, საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, რომ მსაჯების მხრიდან არ იქნა სწორად იდენტიფიცირებული მატჩზე მომხდარი კონფლიქტი და მისი გამომწვევი მიზეზები, ვერ იქნება გაზიარებული კომისიის მიერ, რადგან მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, ცალსახად ვლინდება სანქცირებული მოთამაშეების არასპორტული/არამართებული ქცევები და კონფლიქტში აშკარა ფიზიკური ჩართულობა. კომისიას არ აქვს მტკიცებულება თუნდაც ვიდეომასალის სახით, რომლითაც მოახდენდა ჩხუბის დამწყები მხარის დადგენას, შესაბამისად ეყრდნობა მტკიცებულებას [მსაჯების საითინგს], რომლის ჩანაწერში ეჭვის შეტანის საფუძველი, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, არ არსებობს.

3. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოთამაშეების მიმართ გამოყენებული საქცეები არ არის დადევის პროპორციული. უდავოა, რომ მოთამაშეების მხრიდან აღგილი ჰქონდა მატჩზე საკმაოდ უხემ დისციპლინარულ გადაცდომებს, რაც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის [მსოფლიო რაგბის სანქციები თამაშის წესების დარღვევისას] შესაბამისად, უნდა დაკვალიფიცირდეს და განისაზღვროს პროპორციული სანქცია. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დაკისრებული სახდელის რელევანტურობა და მისი გავლენა სამომავლოდ მოთამაშის კარიერაზე, სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას. სააპელაციო კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია აღნიშნოს, რომ განსახილველ საქმეში მოთამაშეების მხრიდან არის ისეთი სიმძიმის დარღვევები, რომელიც სადისციპლინო კომისიის მიერ უფრო მკაცრად უნდა ყოფილიყო შეფასებული და შესაბამისად გამოეყენებინა ზედა ზღვრით გათვალისწინებული სანქციები. მოთამაშეების ქმედებებს შესაძლოა გამოეწვივიათ ინციდენტში ჩართული პირების ჯანმრთელობის ხელყოფა და მძიმე შედეგი დამდგარიყო. სანქცია უნდა ატარებდეს ქმედების პრევენციის ფუნქციას და მიუხედავად მოთამაშეების სუფთა სპორტული ისტორიისა, ფაქტის პრევენციის საფუძველით, კომისიას გამართლებულად მიაჩნია დადგენილ სანქციებზე უფრო მკაცრი რეაგირება მოეხდინა სადისციპლინო კომისიას. სააპელაციო კომისია შეზღუდულია განიხილოს საკითხი ავტორის მოთხოვნის ფარგლებს მიღმა და დაამძიმოს გამოყენებული სანქცია მიუხედავად მისი მოსაზრებისა.
4. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე სოსო კილაძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 8 (რვა) კვირის ვადით, ხოლო გიორგი არევაძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 4 (ოთხი) კვირის ვადით. მოთამაშეები სოსო კილაძე და გიორგი არევაძე მატჩის ფარგლებში წარმოადგენდნენ სათადარიგო მოთამაშეებს, ორივემ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და

განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გამველებების მიზნით. სააპელაციო კომიტეტისთვის ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია, რატომ აქვთ მოთამაშეებს სხვადასხვა ვადიანი დისკვალიფიკაცია, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების შესაბამისად, ორივე მოთამაშეს აქვს გადაცდომის შესახებ ერთნაირი ახსნა-განმარტება. გადაწყვეტილებით არ არის განმარტებული, რამ გამოიწვია დისკვალიფიკაციის ვადებს შორის სხვაობა. სააპელაციო კომისიას მიაჩნია, რომ მსგავს შემთხვევებში, მნიშვნელოვანია სადისციპლინო კომისიამ მკაფიო განმარტება გააკეთოს თითოეული მოთამაშის დარღვევის სიმძიმესთან დაკავშირებით.

5. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე გიორგი ჯღარკავა არამართებული ქცევის გამო დისკვალიფიცირებულ იქნა 6 (ექვსი) კვირის ვადით. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, გიორგი ჯღარკავამ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო თანაგუნდელის დაცვის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით [მსაჯების საითინგი] მან პირველმა დაარყა „არმაზის“ მოთამაშეს (N7), რის შემდეგაც დაიწყო ჩხუბი. ასევე, ეს არის მოთამაშე, რომელმაც ვიდეოზე ასახული ჩხუბის პირველი ეპიზოდის მერე (როცა უკვე დამშვიდებული იყო ვითარება) შეაგინა „არმაზის“ მოთამაშეებს, რასაც მოჰყვა ჩხუბის მეორე ეპიზოდი და შესაბამისად მატჩის ჩაშლა/შეწყვეტა. განსახილველ შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე სააპელაციო კომისიას მიაჩნია, რომ დარღვევის ხარისხი უნდა შეფასდეს როგორც „ზედა ზღვარი“ და არა როგორც გამოყენებული 6 (ექვსი) კვირიანი შეზღუდვა „შუა ზღვარი“. საქმეში არსებული ვიდეომასალით ირკვევა, რომ აქტიურად მონაწილეობდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, მეორე ეპიზოდი პროვოცირებული იყო მისი სიტყვიერი შეურაცხყოფის შედეგად და მსაჯების საითინგის მიხედვით მან დაიწყო ჩხუბი [საწინააღმდეგო არ ჩანს ვიდეოში] და ვერ იქნება დაკითხული ამის საწინააღმდეგოდ კლუბ „ტაოს“ მოთამაშეები, მათი შესაძლო მიკერძოების საფუძვლით. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის 9.12 პუნქტის შესაბამისად, „მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) მუშტის დარტყმას. ამავე დანართის 9.12. პუნქტის შესაბამისად, მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად. ამ დარღვევისთვის „შუა ზღვარს“ წარმოადგენს 12 კვირა. მიუხედავად ამ დანაწესისა და იმ უდავო გარემოებისა, რომ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფასაც, სადისციპლინო პალატამ დაადგინა მხოლოდ ფიზიკური შეურაცხყოფის დარღვევა და დააკვალიფიცირა როგორც „შუა ზღვრის“ დარღვევა 6 (ექვსი) კვირიანი ვადით. გადაწყვეტილება, ამ ნაწილშიც, სააპელაციო კომისიას მიაჩნია მეტად მსუბუქად, თუმცა უფლებამოსილების ფარგლებში მისი დამძიმების უფლება არ აქვს და თვლის, რომ ძალაში უნდა დარჩეს კომისიის გადაწყვეტილება.


6. სადისციპლინო კომისიის 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კლუბის მოთამაშე ლევან ბუცხრიკიძეს არამართებული ქცევის გამო გამოეცხადა წითელი ბარათი და დისკვალიფიცირებულ იქნა 5 (ხუთი) კვირის ვადით. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ლევან ბუცხრიკიძემ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარი ფაქტის გამო და განაცხადა, რომ დაპირისპირებაში ჩაერთო გაშველების მიზნით. მიუხედავად მისი ახსნა-განმარტებისა, მისი სტატუსი იყო თამაშზე წარმომადგენელი და მას არ ჰქონდა უფლება შესულიყო სათამაშო მოედანზე მსაჯის თანხმობის გარეშე, რითიც დაარღვია სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია. კომისია თვლის, რომ გამოყენებული საქნცია იყო დარღვევის პროპორციული.
7. კომისია მართებულად მიიჩნევს კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება რაგბის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის მნიშვნელობასა და პრინციპებზე. რაგბი ღირსეული ადამიანების სპორტად მიიჩნევა და მის ფუნდამენტალურ ფასეულობას წარმოადგენს პატივისცემა თანაგუნდელების, მოწინააღმდეგე მოთამაშეების, მატჩის ოფიციალური პირებისა და მაყურებლის მიმართ, რაც მეტად განასხვავებს რაგბს სპორტის სხვა სახეობებისგან. მსაჯები და მეთვალყურე არიან ის ძირითადი პირები, რომლებიც ახორციელებენ მატჩზე მომხდარი სადისციპლინო დარღვევების (თამაშის წესების და ქცევის კოდექსის) დაფიქსირებას და უზრუნველყოფენ დისციპლინარული დარღვევების შესაბამისი წესით მიწოდებას სრკ-ს სადისციპლინო კომიტეტისთვის შემდგომი რეაგირების მიზნით. მსაჯები არიან მიუკერძოებლები და არ არსებობს რაიმე მოტივი ან არგუმენტი, შეადგინონ ცრუ ინფორმაციის შემცველი ოქმები. მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ მორჩილება და პატივისცემა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ და მსოფლიო რაგბის მიერ აღიარებულ პრინციპებს. მატჩის ოფიციალური პირი (მსაჯი) წარმოადგენს რაგბის თამაშის განმსაზღვრელ და განუყოფელ ელემენტს, რომლის გარეშეც თამაში ფაქტობრივად შეუძლებელია. მსაჯებს უკავიათ განსაკუთრებულად გადამწყვეტი როლი, ვინაიდან თითოეულ გადაწყვეტილებას შეუძლია რადიკალურად შეცვალოს თამაშის მიმდინარეობა და შედეგი. თამაშის სწორად და სამართლიანად გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თამაშის ნებისმიერი მონაწილისგან გამოხატული იყოს პატივისცემა მსაჯებისა და მათი გადაწყვეტილებების მიმართ. მნიშვნელოვანია, მიუკერძოებლობის გამყარების თვალსაზრისით, ასევე უზრუნველყოფილი იყოს მატჩების მიმდინარეობის დროს ხარისხიანი ვიდეო გადაღება, რომ ყოველგვარი ბუნდოვანების/უნდობლობის და სხვა გარემოებების გამო, იდენტიფიცირებული იყოს რაგბის თამაშის ყველა მონაწილის ქმედება.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი


სააპელაციო კომისიამ სრული შემადგენლობით გადაწყვიტა:


1. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს არც ერთი მოთხოვნის ნაწილში და ძალაში დარჩეს სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #1, გადაწყვეტილება #2, გადაწყვეტილება #3, გადაწყვეტილება #4 და გადაწყვეტილება #5;
2. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
3. სააპელაციო კომისიის დებულების შესაბამისად, გადახდილი სადებოზიტო თანხა არ ექვემდებარება შემცირებას/დაუბრუნებას.

სააპელაციო კომისიის წევრები

რევაზ ბერიძე 

ირაკლი კუჭავა 

ანა გვასალია 

ბერდია ახალბედაშვილი 

სააპელაციო კომისიის თავჯდომარე

ლაშა მდივანი 